92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №4 (7151) 16 თებერვალი 2026 წელი

დავით აღმაშენებელი „მესიის მახვილი“

ასეთი მრავლისმთქმელი სახელით იცნობდა იმდროინდელი სამყარო საქართველოს ყველაზე გამორჩეულ მეფეს—დავით IV აღმაშენებელს, რომელმაც ურიცხვ მტერთაგან გაანთავისუფლა საქართველო, გააერთიანა ქვეყანა და მომავალ თაობას დაუტოვა იგი „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის და ოვსეთიდგან არეგაწამდის“ გადაჭიმულ-გაშლილი.

8 თებერვალი მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიდი მეფის ხსენების დღეა.

ამ დღეს, საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერში, აღევლინა წმინდანი მეფის სავედრებელი პარაკლისი.

ეს დღე ტრადიციულად განსაკუთრებულად აღინიშნა დავით აღმაშენებლის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში, საიდანაც მან დაიწყო საქართველოს გაერთიანებისათვის ფიქრი და მოქმედება, განახორციელა უმნიშვნელოვანესი რეფორმები.



ქუთაისი,
8 თებერვალი,
2026 წელი

ქუთაისის მერმა დავით ერემეიშვილმა, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ გრიგოლ დალაქიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ჭიღვარიამ, პარლამენტის წევრმა ზაზა ლომინაძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, პატივი მიაგეს დიდი მეფის ხსოვნას და გვირგვინებით შეამკეს დავით აღმაშენებლის ძეგლი.

„დავითობის“ აღსანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები, გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კადეტები, ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი.

☞2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2026 წლის 4 თებერვალს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე უძღვებოდა.

საკრებულოს სხდომაზე სულ განიხილეს 11 საკითხი, რომელთა უმეტესი ნაწილი საკრებულოს მიერ ადრე მიღებულ დადგენილებებში ცვლილებების შეტანას ეხებოდა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის საბიუჯეტო ცვლილება, რომელიც განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4 546 732 ლარის გამოყოფის გამო (დაწვრილებით იხილეთ შემდეგ ნომერში—„სად რა გაკეთდება“).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური პროგრამები

☞3, 4, 6, 7

გადაწყვეტილებას იღებს მოსახლეობა

თერჯოლაში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დამთავრდა.

შეხვედრების პირველ დღეს, 9 თებერვალს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრა გამართეს გოდოგნის, კვახჭირის, ჭოგნარის, ქვ. სიმონეთის და ნახშირღელის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების მოსახლეობასთან. აღნიშნულმა და შეხვედრებმა მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში, ადგილობრივმა მოსახლეობამ ხელისუფლების წარმომადგენლებს დაუსახელა ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებაც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებით.

„ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“ პროექტი შეჯამდა

☞2

გვახსოვდეს—მიწა გვარჩენს და მიწა გვინახავს!

☞2

დავით აღმაშენებელი „მესიის მახვილი“

1☞

ქუთაისში, დიდი მეფის სავედრებელი პარაკლისი მისივე სახელობის ტაძარში ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე იოანემ აღავლინა.

იმავე დღესვე, პარაკლისის შემდეგ, საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების წარმომადგენლები გელათის მონასტერში, წმინდა მეფის საფლავთან შეიკრიბნენ, სადაც იმერეთის სადროშოს ხელმძღვანელ ლევან როხვაძესთან ერთად ჩაატარეს ჩოხოსანთა რიგებში ახალი წევრების მიღების რიტუალი.

მისაბაძია, რომ ახალ ჩოხოსანთა შორის არიან სრულიად ახალგაზრდები—დაწყებითი კლასების მოსწავლე გოგო-ბიჭები.

იმედია ისინი, უფროს თაობასთან ერთად, თავიანთ სიტყვას იტყვიან საქართველოს გაბრწყინებისათვის,—ჩვენი მამულის, ენისა და სარწმუნოების გასაძლიერებლად!

თერჯოლელთა მორიგი წარმატება

8 თებერვალს, ბაღდათში (ბაღდათის მუნიციპალიტეტი) საპროდიუსერო კომპანია „ჯადოსნური ხმების” (ხელმძღვანელი თამაზ ქაჯაია), ორგანიზებით ჩატარდა ფესტივალი „დავითობა” , მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით. ჩვენთან საუბარში მერიის განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა **მაკა ასათიანმა** სიამაყით თქვა: **„ფესტივალზე წარმატებით გამოვიდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“ და ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ჭიუხი“. მათ მაყურებლის დიდი ოვაციები და განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს.**

ფესტივალის ორგანიზატორებმა მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე დააჯილდოვეს სპეციალური დიპლომით, მადლობის სიგელები და მედლები გადაეცა ორივე ანსამბლს. მადლობა ანსამბლის თითოეულ მონაწილეს და მათ არაჩვეულებრივ ხელმძღვანელებს: გოჩა ჭანკვეტაძეს, ირინა ბუცხრიკიძეს, გიორგი და თამუნა ჭანკვეტაძეებს, გულთამზე კუბლაშვილს და რამაზ მემანიშვილს. მადლობა, ბატონ მანუჩარს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას მხარდაჭერისთვის. მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას მასპინძლობისთვის“.

მომავალ წარმატებებს გისურვებთ!

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი შეხვედრა გამართა.

დღის წესრიგის მიხედვით, სხდომაზე მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი, სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები განიხილეს.

საუბარი შეეხო „სახლდაზიანების“ პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას.

მიმდინარე წელს პროგრამის ფარგლებში ასეთ ახალ სახლს 6 ოჯახი მიიღებს.

ხელმძღვანელმა პირებმა მოისმინეს საბჭოს წევრების მოსაზრებები, მზადყოფნა გამოთქვეს სამომავლო თანამშრომლობისთვის. მათ მადლობა გადაუხადეს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისთვის.

სამუშაო შეხვედრას მერის მოადგილეები და მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“ პროექტი შეჯამდა

საგანმანათლებლო რესურსცენტრის სხდომათა დარბაზში პროექტის „ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. პედაგოგებს, რომლებმაც ამ პროექტის ფარგლებში ღია გაკვეთილები ჩაატარეს, რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ქეთევანმა, პედაგოგ თეა დოლაკიძის დიზაინით შედგენილი სამადლობელი ბარათები და ბიბლუსის სასაჩუქრე ვაუჩერები გადასცა, მადლობა გადაუხადა თითოეულ მათგანს პროექტში ჩართულობისთვის და ლიბერთი ბანკს სპონსორობისათვის. თავის მხრივ, პედაგოგებმა გამოთქვეს მზადყოფნა მომავალი პროექტებისათვის და მადლობა უთხრეს რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქეთევან შეყრილაძეს.

სხვა სკოლის მასწავლებელი სხვა სკოლაში

ერთ-ერთი გაკვეთილის განხილვისას რესურსცენტრის ხელმძღვანელმა შესთავაზა პედაგოგებს, ჩაეტარებინათ გაკვეთილი სხვა სკოლაში. იდეა მოეწონათ, ბევრს გაუჩნდა სურვილი, მაგრამ პირველმა ეს შეთავაზება კერძო სკოლის „მზეკაბანის“ ინგლისური ენის მასწავლებელმა ნინო სვანიძემ განახორციელა ღვანკითის საჯარო სკოლის IV კლასში (კლასის ინგლისური ენის მასწავლებელი თამარ ბარბაქაძე).

გაკვეთილის თემის „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ გაცნობის შემდეგ მოსწავლეებმა მოისმინეს ტექსტი და თანმიმდევრობით დაალაგეს აბზაცები და დაუკავშირეს იგი შესაბამის სურათს, ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამოიცვნეს მოვლენათა თანმიმდევრობა. შემდეგი აქტივობისას, მასწავლებელმა დაფაზე გააკრა პერსონაჟების სურათები, მოსწავლეებს დაურიგდათ ბარათები პერსონალების სახელებით, გამოავლინეს პერსონაჟი და შეუსაბამეს ზედსართავი სახელი, შემდეგ ააგეს წინადადება ზმნისა და ზედსართავის გამოყენებით. პერსონაჟთა ქცევიდან გამოიტანეს დასკვნა მათი ხასიათისა და თვისებების შესახებ. შემდეგი აქტივობისას მასწავლებელმა მოსწავლეებს აჩვენა ორი ყუთი, რომლებშიც მოთავსებული იყო ზედსართავების ბარათები, მოსწავლეებმა აირჩიეს თითო ბარათი და გამოიცვნეს თუ რას გამოხატავს ის ზედსართავი ადამიანის გარეგნობას თუ ხასიათს, ჩააწებეს იგი ფორმატის შესაბამის ადგილას. ზედსართავი სახელების შედარებისას მონახეს მათ შორის მსგავსება და განსხვავება. შემდეგი აქტივობისას დაასახელეს საყვარელი ზღაპრები და პერსონაჟები, შეადგინეს წინადადებები, აღწერეს ილუსტრაციები, შეადგინეს

წარწერები ილუსტრაციებისთვის.

გაიმართა სცენური თამაში. გამოიცვნეს ნივთები და აქსესუარები, გაინაწილეს როლები, გაითამაშეს სცენა—„ფიფქია და შვიდი ჯუჯა“. მოსწავლეებმა შეძლეს სასწავლო ლექსიკური ერთეულების სასაუბრო აქტივობებში და პრაქტიკულ დავალებებში გამოყენება. გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.

☞7

გვახსოვდეს—მიწა გვარჩენს და მიწა გვინახავს!

„მიწა რომ დედაა ეს იქაც იციან, სადაც მიწას დედამიწას არ ეძახიან და გლეხს—გუთნისდედას.

ჩვენ ხომ ვიცით და ვიცით, მაგრამ ამ „დედაჩვენს“ რა ღვთის წყრომა დაემართა, რომ ჩვენზე—შვილებზე გული აიცრუა, რძე გაუშრა და დედინაცვლის ხელებში შეჩერებული ვყავართ?

რისგან რა გვჭირს, უპირველესად ამის ცოდნა გვმართებს, მაგრამ ცოდნა გულისგულამდე, ძირისძირამდე, ღდინისღდინამდე.

როცა უნდათ სნეულს უწამლონ, ჯერ დაავადების მიზეზს ეძებენ: რა სნებამ, რა სახადმა, რა წაქცევამ და დაცემამ დამართა, მტერსა და ავს—რა ქვა და მეხი ეცა, რა ჭირი და აცი ზნე, რა უუმური და მავნე შეეყარა...

ვიცით, რომ ყველაფერი თავიდან იწყება და ისიც ვიცით თავი და თავი მიწაა—ყანა, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, საძოვარი, ტყე, საქონელი, ფუტკარი... მაგრამ ყველა ამ სიკეთესა და მიწას შორის გლეხი დგას, ესე იგი, ისიც თავი და თავი...

ვინაა ეს თავი და თავი—გლეხი დღეს რას წარმოადგენს, რას აკეთებს, რას ფიქრობს, თვალი საით უჭირავს: ყური დედამარჩენალ მიწაზე აქვს დადებული, თუ ქარს, ეშმაკსა და მავნესაა აყოლილი? ფეხშიშველდაკარწახებული მიწაში მუხლამდეა ჩამდგარი და ფესვს იდგამს თუ, ფრთებს ისხამს და დაფრინავს?

დღესდღეობით, მადლობა ღმერთს, რაღაზე აღარ ვბჭობთ, რა გამრუდებულ გზას, ჩაქცეულ ხიდსა და ჩანგრეულ ღობე-ყორეს არ ვედებით, რა გადაბრუნებულ ურემს არ ვეპოტინებით წამოსაყენებლად, მაგრამ დედაზე—მიწაზე, „პური არსობისა“-ზე ყველაზე ნაკლებს ვლაპარაკობთ“.

☞8

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601418)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის ამოცანა: „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2026 წლის 14 იანვრიდან - 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ჰიგიენური საშუალებების, მედიკამენტის, სამ წლამდე ბავშვთა კვების პროდუქტების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, გამოკვეთილი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი შემდეგი ოჯახები:

ა) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;

ბ) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;

გ) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ შვილი/შვილები (0-18 წლის ჩათვლით)

დ) ობოლი შვილები (0-18 წლის ჩათვლით);

ე) ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები;

ვ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები;

ზ) სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს;

მუხლი 4. დაფინანსება

ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი საჭიროების მქონე ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამის ადმინისტრირების წესი

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს (ინფორმაციას) განიხილავს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას ან/და საჭიროებების შეფასების (სკრინინგის) დოკუმენტს განიხილავს მერის ბრძანებით შექმნილი კომისია და შეიმუშავებს მერის სახელზე რეკომენდაციას;

3. კომისიის რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას, რომელიც კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ამზადებს ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს;

მუხლი 6. დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია

ა) ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობა/მოწმობები;

ბ) მშობლის/ბავშვის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

ვ) სოციალურად დაუცველის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 7. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601419)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: პარკინსონით ან ეპილეფსიით დაავადებულ ერთ ბენეფიციარზე 200 (ორასი) ლარი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტების შეძენის მიზნით მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული პირები.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ; გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი და განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ე) შეზღუდული ქმედუნარიანი პირის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის დანიშნვის შესახებ.

მუხლი 5. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29260142)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 82 000 (ოთხმოცდაორი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – არაუმეტეს 300 (სამასი) ლარი სოფელში და არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარი ქალაქში.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს, მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი ან/და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია საცხოვრებელ სახლში დარჩენა და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 -ს.

ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები, რომლებმაც ისარგებლეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლით (თავშესაფრით) და თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ იმყოფება საცხოვრებლის გარეშე.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საცხოვრებელი ფართის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ საჯარო რეესტრიდან ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის;

დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია, განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ ან/და ცნობა დაზიანებული სახლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ქირავნობის ხელშეკრულება 1 წლის ვადით;

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში, გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი და თერჯოლის მუნიციტალიტეტის ტრიტორიაზე არსებული გასაქირავებელი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);

ზ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, სადაც მითითებულია მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსება;

თ) ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში, თავშესაფრით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (მესამე მუხლის „ა“ პუნქტით სარგებლობის შემთხვევაში)

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას რეკომენდაციის მომზადების მიზნით განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292601420)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამა ითვალისწინებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები 2-დან 16 წლამდე ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის მქონე ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებას, რომლებიც რეაბილიტაციას გაივლიან შესაბამის დაწესებულებაში, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სპეციალისტები: ქცევითი თერაპევტი, რომელიც არის ბავშვის ემოციურ – ქცევითი აშლილობების მართვის უნარ–ჩვევების მქონე და გავლილი აქვს ქცევის გამოყენებითი ანალიზის საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ბაზისური თეორიული კურსი 40 საათის ხანგრძლივობით დადასტურებული სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით და აქვს ქცევითი თერაპიის დამოუკიდებლად ჩატარების სულ მცირე, 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება და მეტყველების თერაპევტი.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2026 წლის 14 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყარო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია;

მუხლი 2.

1. პროგრამით ისარგებლებენ სოციალური მუშაკის სკრინინგის ფორმის ან/და ბავშვისა და ოჯახის შეფასების (დასკვნის) მიხედვით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები 2-დან 16 წლამდე ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის მქონე ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 200 001 ქულამდეა.

1.1. განვითარების ზოგადი აშლილობა (F84.0-F84.9) ჯგუფის შემდეგი დიაგნოზები:

ა) F84.0 ბავშვთა აუტიზმი;

ბ) F84.1 ატიპიური აუტიზმი;

გ) F84.2 რეტის სინდრომი;

დ) F84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა;

ე) F84.5 ასპერგერის სინდრომი;

ვ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი;

ზ) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი.

2.2. სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა (F78.0-F78.9) ჯგუფის შემდეგი დიაგნოზები:

ა) F78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია;

ბ) F78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას;

გ) F78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი;'

მუხლი 3. პროგრამით სარგებლობისათვის ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ბენეფიციარის პირადობის ან/და დაბადების მოწმობის ასლი;

გ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV–100/ა), რომელშიც მითითებული იქნება პროგრამისთვის ვალიდური დიაგნოზები ICD10-ს და გაცემულია პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებულია პირის ძირითადი დიაგნოზი;

ე) დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, „ADOS–2“ აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგი, „ADOS“ ტესტირების შედეგი.

მუხლი 4.

1. დაფინანსება განისაზღვრება პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის თვეში მიღებული მომსახურების (სარეაბილიტაციო კურსი – 10 საათი) თანხის არაუმეტეს 220 ლარისა, ან ფაქტობრივი მომსახურების შესაბამისად ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.

2. თვეში 10 საათის სარეაბილიტაციო კურსის განსაზღვრის შემთხვევაში სეანსების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 7 ვიზიტს.

მუხლი 5. ბენეფიციარი არასაპატიო მიზეზით მინიმალურზე ნაკლები რაოდენობის სეანსების მიღების შემთხვევაში იღებს მომსახურების შეწყვეტაზე წერილობით გაფრთხილებას, ხოლო განმეორებით შემთხვევაში, სერვისის მიმწოდებლის მიერ შეუწყდება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება. გამომდინარე აქედან, ჩატარებული სეანსების ანაზღაურება მოხდება სერვისის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად.

5. პროგრამით სარგებლობის დროს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას, რომლის გამოყენების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

6. დაფინანსების გადარიცხვისთვის მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაო უნდა წარმოადგინოს რეაბილიტაცია/აბილიტაციის კურსის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29260143)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 18000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებული დახმარება ბენეფიციარებისათვის თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა სპეციალური კვების პროდუქტების უზრუნველყოფას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ:

ა) განცხადება (არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობლის);

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა;

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში;

დ) არასრულწლოვნის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში;

ვ) შესაბამისი დაწესებულებიდან კვების შესახებ ანგარიშფაქტურა.

მუხლი 6. დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ, თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29260144)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 65 600 (სამოცდახუთიათას ექვსასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში 100 (ასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

ა) პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად, არიან პირველი ჯგუფის უსინათლოები.

ბ) 18 წლამდე უსინათლო შშმ სტატუსის მქონე უსინათლო ბენეფიციარები.

მუხლი 4. სოციალური დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და წარდგენის წესი

1. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფორმა №IV-50/4 (კომისიის დასკვნა) პირველი ჯგუფის უსინათლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

დ) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი.

მუხლი 5. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

„ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“

„ადამიანის ქიმია“

თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში (დირექტორი ფიქრია დემეტრაშვილი) ინტეგრირებული გაკვეთილი ქიმია-ბიოლოგიაში მე-10² კლასში თემაზე „ადამიანის ქიმია“ პედაგოგებმა თეა სამხარაძემ და მზია მაკარიძემ ჩაატარეს. გაკვეთილის მიზნები: ბიოლოგია: მოსწავლეები შეძლებენ ადამიანის ორგანიზმში შემავალი ელემენტების გააზრებას, იმსჯელებენ: რა გავლენას ახდენს სასარგებლო და მავნე ელემენტები სხეულის

მეტაბოლიზმზე, ჯანმრთელობაზე, ამოიცნობენ იმ დაავადებებს, რომელიც გამოწვეულია სასარგებლო ელემენტების ნაკლებობით. ქიმია: მოსწავლეებს შეექმნას წარმოდგენა იმ კანონზომიერებების შესახებ, რითაც ქიმიური ელემენტები არიან განლაგებულნი ქიმიური ელემენტების პერიოდულობის ცხრილში.

აქტივობები

წინარე ცოდნის გააქტიურებაში მთელი კლასი ჩაერთო. საინტერესო კითხვა-პასუხები აქტიობისათვის „საინტერესო ფაქტები ადამიანის ორგანიზმზე“, გამოიყენეს პროექტორი, კომპიუტერი, გაიმართა დისკუსია ვიდეორგოლის ირგვლივ. ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობდა ოთხი ჯგუფი, პრეზენტაციები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. პირველმა ჯგუფმა წარმოადგინა „ქიმიური ელემენტები: H, O, C, N“. მეორე ჯგუფმა ქიმიური ელემენტები: Na, K, F, Zn, CI, I. მესამე ჯგუფმა „ექიმები საორდინატორო ოთახში“ Ca, Fe, Mg. მეოთხე ჯგუფმა ხილ-ბოსტნეულზე ნიტრატების კვლევის ბიოქიმიური ლაბორატორია“ N, Pb.

გამოიყენეს რესურსები: კომპიუტერი, მონიტორი, ხილი, ბოსტნეული, ნიტრომენტრი, ფლიპჩართი, თეთრი ხალათები, ლურჯი ხალათები, ქუდები.

მოსწავლეებს მიეცათ საშიანო დავალება—კვლების მონაცემების შეგროვება.

ხელოვნური ინტელექტი ადამიანის ცხოვრებაში

რუფოთის საჯარო სკოლაში (დირექტორი კოტე გოგიაშვილი) ღია გაკვეთილი საგანში—სამოქალაქო განათლება მე-11 კლასში თემაზე „ხელოვნური ინტელექტი ადამიანის ცხოვრებაში“ პედაგოგმა ზურაბ ბარბაქაძემ ჩაატარა. გაკვეთილზე მოსწავლეებმა შეძლეს

აეხსნათ რა არის ხელოვნური ინტელექტი და როგორ მუშაობს, აღწერეს მისი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, გააცნობიერეს ხელოვნური ინტელექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, იმსჯელეს ეთიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე. მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები: ხელოვნური ინტელექტი და ადამიანის უსაფრთხოება: მითი თუ რეალობა? ხელოვნური ინტელექტის პოტენციური საფრთხეები, როლი კიბერუსაფრთხოებაში, გავლენა სოციალურ ურთიერთობებზე, კონტროლის მექანიზმები, უსაფრთხოება, როგორც რთული და მრავალმხრივი თემა, თავის დაცვა საფრთხეებისაგან, შეუძლია თუ არა ხელოვნურ ინტელექტს ადამიანის ჩანაცვლება. ამომწუხავი პასუხი გაეცა კითხვას—თუ რა არის ხელოვნური ინტელექტი, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, სად და როგორ გამოიყენება და სხვა.

გაიმართა ჯგუფური მუშაობა. მასწავლებელმა მოსწავლეები დაყო ორ ჯგუფად. ერთმა ჯგუფმა ისაუბრა დადებით მხარეებზე, მეორემ უარყოფით მხარეებზე.

საინტერესო იყო პრაქტიკული აქტივობა. შეივსო კროსვორდი „ხელოვნური ინტელექტი“. მასწავლებლების კითხვებს: რა გაიგეთ ახალი ხელოვნურ ინტელექტზე, კარგია იგი თუ საშიში. მოსწავლეებმა დაასაბუთეს რა, რატომ? საუბარი იყო მისი გამოყენების პასუხისმგებლიანობაზე.

მასწავლებელმა შეაფასა მოსწავლეები, როგორც ჯგუფური მუშაობის, ისე პრაქტიკულ ამოცანებში ჩართულობის, თითოეულის აქტივობა.

გაკვეთილის თემა—ხელოვნური ინტელექტის რჩევით...

სიქთარვის საჯარო სკოლაში (დირექტორი ია კვატაია) ღია გაკვეთილი „იმიტირებული სასამართლო პროცესი“ მე-9 კლასში პედაგოგმა ელენე კუტივაძემ ჩაატარა. ამ კლასში სასამართლო ხელისუფლებას ახლა სწავლობენ, ამასთან ქვეყანაში კვლავ არის დანაშაულებრივი შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით, მოსწავლეებთან ერთად

გადაწყდა—გაკვეთილი რომ საინტერესო ყოფილიყო, თან 15-ვე მოსწავლის ჩართულობით გამოეყენებინათ ხელოვნური ინტელექტი და რჩევაც მიიღეს, ამ რჩევის მიხედვით—არასრულწლოვანი ბრალდებული იყო მაღაზიის გაძარცვაში. განაწილდა როლები, დაამუშავეს თემატურად სასამართლო ხელისულფება, შეისწავლეს სასამართლო პროცესის ენა, ნახეს ფილმი—ნაფიცი მსაჯული, მოიფიქრეს თითოეული როლის სათქმელი სიტყვა. (სამი მოსამართლე, ორი პროკურორი, გამომძიებელი, ფსიქოლოგი, მაღაზიის მფლობელი, ბრალდებული, ბრალდებულის ორი მეგობარი, მშობელი, ადვოკატი).

მოსწავლეებმა დაკისრებულ როლებს თავი კარგად გაართვეს, სასამართლო პროცესი ბუნებრივად და საინტერესოდ წარიმართა. სასამართლომ ბრალდებული არასრულწლოვანი უდანაშაულოდ ცნო, ასეთივე ვერდიქტი გამოიტანეს ნაფიცმა მსაჯულებმა.

„სასამართლო პროცესში“ მონაწილეობა მიიღეს დამსწრე პედაგოგებმა. დაისვა კითხვები, ამ ჩართულობამ უფრო საინტერესო გახადა გაკვეთილი.

„კონსტიტუცია და თავისუფლება“

სიქთარვის საჯარო სკოლის (დირექტორი ია კვატაია) მერვე კლასში ღია გაკვეთილი გეოგრაფიაში თემაზე „კონსტიტუცია და თავისუფლება“ პედაგოგმა ანა ტაბატაძემ ჩაატარა. გაკვეთილის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კონსტიტუციის მნიშვნელობის გააზრება, მისი ისტორიული განვითარების გზისა და თავისუფლების ცნების არსზე მსჯელობა, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ქვეყნების მაგალითებზე.

გაკვეთილი კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი სამართლებრივი დოკუმენტის მნიშვნელობის განხილვით დაიწყო. მოსწავლეებმა იმსჯელეს, რას ნიშნავს კონსტიტუცია დემოკრატიული მოწყობისათვის, როგორ იცავს იგი ადამიანის თავისუფლებას და რატომ არის აუცილებელი მისი თანხვედრილი მოქმედება ქვეყნის გეოგრაფიულ, კულტურულ და სოციალურ რეალობასთან, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სხვადასხვა სახელმწიფოს მაგალითების განხილვამ, ბავშვებმა გადაწყვიტეს დამოუკიდებლად შეედარებინათ კონსტიტუციური მოდელები და გამოეკვეთათ, თუ როგორ ახერხებს თითოეული ქვეყანა თავისუფლებისა და სახელმწიფო მოწყობის დაბალანსებას.

მოსწავლეები შეეხნენ საქართველოს კონსტიტუციის ისტორიულ განვითარებას. მათ განიხილეს, რა მნიშვნელოვანი ეტაპები გაიარა სახელმწიფოს მთავარმა დუკუმენტმა და როგორ ჩამოყალიბდა კონსტიტუცია იმ სახით, რომელსაც დღეს ვიცნობთ. დისკუსიამ ნათლად აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის ამ პროცესების ცოდნა, რათა უკეთ გაიაზრონ ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი გზის მნიშვნელობა.

გაკვეთილის შემაჯამებელ ნაწილში მოსწავლეებმა შეადგინეს საკუთარი „კლასის კონსტიტუცია“, განსაზღვრეს საერთო წესები, უფლებები და პასუხისმგებლობები, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი კონსტიტუციის მთავარ როლს—სამართლიანი, უსაფრთხო, თანასწორი გარემოს შექმნას.

„სასამართლოს ძიება გამოთვლებით და შანსებით“

გოდოგნის საჯარო სკოლაში ღია გაკვეთილი X კლასში სკოლის დირექტორმა და მათემატიკის მასწვლებელმა შორენა აბესაძემ ჩაატარა. მან ერთმანეთს დაუკავშირა ორი საგანი—მათემატიკა და სამოქალაქო განათლება. თემამ: „სამართლის ძიება გამოთვლებით და შანსებით“ მოსწავლეებს დაანახა მათემატიკის როლი იურისტის პროფესიაში, თუ როგორ შეიძლება მათემატიკური ცოდნის გამოყენება ამ დარგში.

საინტერესო იყო გამოკითხვა—სპეციალური ბარათების გამოყენებით მოსწავლეებმა, რომლებიც სამ წყვილად მუშაობდნენ და დამსწრეთ, უნდა დაეფიქსირებინათ თავიანთი შეხედულებები კითხვებზე.

1. „იურისტისათვის მათემატიკური ცოდნა არ არის აუცილებელი“—მითია თუ რეალობა.

2. „მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა“—მითია თუ რეალობა. დისკუსიის შემდეგ მოსწავლეებს წარუდგინა მთავარი სამუშაო ამოცანა—კონკრეტული იურიდიული ქეისის განხილვა—დასაქმებული პირი განთავისუფლდა სამუშაოდან. დასაქმებულმა გათავისუფლება მიიჩნია უკანონოდ და დაიწყო სამართლის ძიება. მისი მოთხოვნა მოიცავდა განაცდური ხელფასის დარიცხვას და ანაზღაურებას გათავისუფლების დღიდან სასამართლო პროცესის დასრულების და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღემდე.

მოსწავლეები გადავიდნენ გაკვეთილის მთავარ საკითხზე—განაცდურის ოდენობის დადგენაზე სხვადასხვა ინსტანციებში. გამოთვლების შემდეგ შეფასდა დროთა განმავლობაში მიყენებული ფინანსური ზიანი, გამოიანგარიშეს განაცდურის ზუსტი ოდენობა სხვადასხვა ინსტანციებში, დადგინდა განაცდურის საბოლოო ოდენობა სტრასბურგის სასამართლოში.

საფუძველი ჩაეყარა გაკვეთილის ფინალურ აქტივობას. დაიწყეს ე.წ. „სტრასბურგის სასამართლოს ძიება მათემატიკური მეთოდებით“. მოსწავლეებმა, სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე, გამოიყენეს მათემატიკური გამოთვლები, რათა დაედგინათ რა ალბათობით შეიძლება მიიღოს მოსარჩელემ დადებითი გადაწყვეტილება ევროპულ სასამართლოში.

გაკეთდა მნიშვნელოვანი დასკვნები, რითაც პასუხი გაეცა გაკვეთილის დასაწყისში დასმულ კითხვას. მოსწავლეებმა დაასკვნეს, რომ მათემატიკა უდიდეს როლს თამაშობს იურისპუდენციაში, მათემატიკა არის ზუსტი მეცნიერება, თუმცა მისი აბსოლუტური სიზუსტე შეიძლება შეიზღუდოს ან შემცირდეს, როცა ის გადადის სხვა, არაზუსტ სფეროში (სასამართლო).

გაკვეთილმა მიზანს მიაღწია. მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს ცოდნა პროცენტებსა და ალბათობებში, კრიტიკულად შეაფასეს ზუსტი და ჰუმანიტარული მეცნიერების ურთიერთკავშირი რეალურ ცხოვრებაში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29260145)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 5 000 (ხუთი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის **მერია.**

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა (რომელსაც არ ჰყავს ან არ იძებნება პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა, და/ძმა, მეუღლე, ბაბუა, ბებია, შვილი/გერი, შვილიშვილი).

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლეთა კატეგორია

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გამღებ მოქალაქეს.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხდებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული რეკომენდაცია გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ;

დ) გარდაცვალების მოწმობა ან ოქმი გარდაცვალების შესახებ;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან.

მუხლი 5. დაკრძალვის თანხის ოდენობა

1. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსხურეობა განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29260146)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 2400 (ორიათას ოთხასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში–100 (ასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

ერთჯერადი კვების ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები რომლებიც, სარგებლობდნენ ერთჯერადი კვების ობიექტით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი

1. მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29260149)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების დახმარების 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2026 წლის 14 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 370 000 (სამას სამოცდაათი ათასი) ლარი აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ასევე დაზიანდა ხანძრის ან სტიქიის შედეგად, დახმარების ბიუჯეტი განისაზღვროს 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარით.

ბ) მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვროს 300 000 (სამასი ათასი) ლარით.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები საჭიროებენ გადაუდებელ შეკეთებას, დაზიანდა ხანძრის, სტიქიის შედეგად და გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება განსახლებას ან/და საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენს სტიქიურად საშიშ ზონას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია

1. პროგრამის სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ან/და დაზიანებულია სტიქიის და ხანძრის შედეგად.

1.1. ოჯახებს, რომელთა სახლებიც სტიქიის შედეგად არის დაზიანებული ან/და საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენს სტიქიურად საშიშ ზონას (საფრთხის შემცველია საცხოვრებელ სახლში დარჩენა) აქვთ გეოლოგიური დასკვნა ან/და ფორს მაჟორულ სიტუაციაში სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი სარეკომენდაციო დასკვნა, შეუძლიათ ისარგებლონ ბინის ქირით 6 (ექვსი) თვის ვადით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში 1 (ერთი) წლის ვადით.

2. პროგრამის პირველი მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სარგებლობის უფლება აქვთ, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, მათი საცხოვრებელი სახლი დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია და ექვემდებარება დემონტაჟს.

3. ოჯახებს, რომელმაც უნდა ისარგებლოს პროგრამით არ უნდა გააჩნდეს სხვა საცხოვრებელი ფართი.

4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე (ოჯახი) დახმარებას მიიღებს ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე ოჯახებისათვის გასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა და მისი გაცემის პირობები

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია;

გ) საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა, უძრავი ქონების (დაზიანებული საცხოვრებელი სახლი) ფლობის და მასში ცხოვრების შესახებ;

დ) სხვა საცხოვრებელი სახლის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა საჯარო რეესტრიდან ქონებრივი მდგომარეობის შესახებ) საქართველოს მასშტაბით;

ე) ფინანსური დახმარების შემთხვევაში ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

ვ) ბინის ქირით სარგებლობის შემთხვევაში გეოლოგიური დასკვნა ან/და ფორს-მაჟორულ სიტუაციაში სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი სარეკომენდაციო დასკვნა, ასევე ქირავნობის ხელშეკრულება 6 (ექვსი) თვემდე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში 1 (ერთი) წლის ვადით. გამქირავებლის პირადობის მოწმობის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გასაქირავებელი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) და თანამესაკუთრის შემთხვევაში, ცნობა თანამესაკუთრის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და საცხოვრებელი სახლის შეძენის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა საცხოვრებლად უვარგისი სახლის დემონტაჟის შესახებ და სოციალურად დაუცველი მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებულ განცხადებას შეისწავლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამოწმებს მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, მოქალაქის ოჯახის სოციალურ პირობებს და ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების (რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქისათვის გასაწევი ფინანსური დახმარების ოდენობა) ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს მოქალაქისათვის ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები მძიმე დაზიანების გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, პროგრამის ფარგლებში, მიეცემათ არაუმეტეს 2500 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

6. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლის შეძენა ან/და მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მერიამ კანონით დადგენილი წესით განახორციელოს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური პროგრამები

სადღესასწაულო დღეების მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29260147)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: სადღესასწაულო დღეების მხადაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით (აღდგომა, ბარბარობა, ახალი წელი) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (70 წელს გადაცილებული მარტოხელა, მარტოხელა მშობელი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები, პირველი ჯგუფის უსინათლო) საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები. (70 წელს გადაცილებული მარტოხელა, მარტოხელა მშობელი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები, პირველი ჯგუფის უსინათლო).

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას რომელსაც, თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ, ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

გ) კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს, რეკომენდაციის მომზადების მიზნით, მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3. რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29260148)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრიტებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი—თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ, ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

ა) უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს არანაკლებ 100 (ასი) ლარისა და არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს, რეკომენდაციის მომზადების მიზნით მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3. რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც გასცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

სოსო ჩაფიჩაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გილოცავთ!

ომარი (ბობრი) ჭურაძე

ჩვენო ომარ გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, დაბადების 80 წლისთავს. მუდამ ბედნიერი და ჯანმრთელი გვენახეთ, გვიგულეთ თქვენს გვერდით.

პატივისცემით: ჯემალი ისაკაძე, გიზო ხანიაშვილი, გოჩა ბუცხრიკიძე, გურამი კუპატაძე, ნიკოლოზ ვერულაშვილი, ვახტანგი პატარიძე, დავით სულამანიძე

„ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“ პროექტი შეჯამდა

2☞

გაზეთი „თერჯოლა“ შეეცადა ფართოდ გაეშუქებინა რესურსცენტრის პროექტის („ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ“) მიმდინარეობა. ვფიქრობთ, რომ ეს სასარგებლო გამოცდილების გაზიარებაცაა, რაც უთუოდ მნიშვნელოვნად წაადგება სწავლა-აღზრდის პროცესს.

ბუნებრივია, რომ ყველა ღია გაკვეთილის შესახებ ვერ გაცნობებთ დაწვრილებით. ვალდებულებად ვთვლით, რომ ამის საკომპენსანციოდ აუცილებლად გაგაცნოთ პედაგოგები, რომლებმაც ასეთი ღია გაკვეთილები ჩაატარეს:

თინათინ ყუფარაძე (კვახჭირი). ისტორია, მე-8 კლასში. თემა „დავით IV რეფორმები“.

თამარ აფრიდონიძე (კვახჭირი). ქართული ლიტერატურა, მე-6 კლასში, თემა როალ დალის „მატილდა“.

ნათია გიორგაძე (სიმონეთის №2). ქართული ენა და ლიტერატურა, მე-9 კლასში, თემა ნიკო ლორთქიფანიძის კვალდაკვალ—სამართლის სიყვარული მინიატურებსა და რეალურ სივრცეებში.

თინათინ კუპატაძე (თერჯოლის №2). მათემატიკა, მე-3 კლასში, თემა „რწყილი და ჭიანჭველა“ საზომი ერთეულები.

მაია გოგბერაშვილი (რუფოთი). ქართული ენა და ლიტერატურა, მე-7 კლასში, თემა „მოგზაურობა ქართულ მითოლოგიურ სამყაროში“.

შორენა გეწაძე (საზანო). ქართული ენა და ლიტერატურა, მე-4 კლასში, თემა „ბოროტსა სძლია კეთილმან“.

ინგა ზუზაძე (საზანო). ქართული ენა და ლიტერატურა, მე-12 კლასში, თემა „სიყვარული“.

ლელა გვენეტაძე, ქეთო ბრეგაძე (ნახშირღელე). ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულ ენაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მე-4 კლასში, „დაკარგული წიგნი“—„ვთამაშობთ ასოებით“.

მარგალიტა ციცვიძე (ჭოგნარი). ქართული ენა და ლიტერატურა, მე-10 კლასში, თემა „ზეცისა კაცი ქუეყანისა ანგელოსი“—გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის“ მიხედვით.

ლალი ქაშაკაშვილი (ღვანკითი). ქიმია, მე-9 კლასში, თემა „მჟავა და ტუტე ნივთიერებების თვისებები.

თეონა გიორგაძე (ეწერი). ქართული ენა და ლიტერატურა. მე-9 კლასში „მშობლიური სამყარო“.

ხათუნა რობაქიძე (გოგნი.) ბუნება—ქართული, მე-4 კლასში, თემა „წყალი სიცოცხლის წყარო“.

დავით ჩუბინიძე (თერჯოლის №1). ბუნებისმეტყველება, მე-7 კლასში, თემა „სიმკვრივე“.

თეა რიჟამაძე (თერჯოლის №2). ხელოვნება, მე-8 კლასში, თემა ხელოვნება სოციალურ პრობლემებზე.

მადონა ჭანტურიძე (საზანო). მათემატიკა, მე-10 კლასში, თემა „მათემატიკა“.

რაია მაჩაიძე, ინეზა ბუცხრიკიძე (თერჯოლა №2). ინტეგრირებული გაკვეთილი, ქართული ენა და ლიტერატურა და მუსიკა, მე-5 კლასში, თემა ხელოვნების ძალა—„იავნანამ რა ჰქმნა“.

ნინო მიხელიძე (თუზი). ქართული ენა და ლიტერატურა, მე-11 კლასში, თემა „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია“.

შორენა კვიმსაძე (ნაგარევი). მათემატიკა, მე-3 კლასში, თემა „გამრავლება“.

უჩა გვენეტაძე (თერჯოლის №1). საზოგადოებრივი მეცნიერებები, მე-7 კლასში, თემა „კონკურენცია ეკონომიკაში“.

ამ გაკვეთილების მოსმენა იყო ერთგვარი სიამოვნება, სიამაყე, იმის შეგრძნება, რომ თერჯოლელ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმე საიმედო ხელშია. იმ მასწავლებლების მისამართით, რომლებმაც გაკვეთილები ჩაატარეს, მხოლოდ საუკეთესო სიტყვები შეიძლება გაიმეტო.

წარმატებები მათ!

ჟუჟუნა ცხადაძე

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლევან კლდიაშვილს და თამარ ზაალიშვილს მამისა და მამამთილის

იური კლდიაშვილის

გარდაცვალების გამო.

2☜ გვახსოვდეს—მიწა გვარჩენს და მიწა გვინახავს!

რატომ მოვიხმე და რა მიზნით შევახსენე მკითხველს ყველასათვის ცნობილი მწერლისა და ამავდროულად კარგ მეურნედ ცნობილი ოტია იოსელიანის ეს სიტყვები, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დაიწერა, როცა საბჭოეთის „ძმურ კავშირში“ ვცხოვრობდით, როცა მიწა სახელმწიფო კუთვნილება იყო და გლეხს უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ 0.25 ჰა ან 0.5 ჰა მიწის ნაკვეთი ჰქონდა. თუ მის საკარმიდამო შემორაგულში მისივე ე.წ. გარდამეტი „ჩამონაჭერი“ მიწის ნაკვეთი 300 ან 500 კვ. მეტრი ჰქონდა, რომელსაც ბუნებრივია, თვითონ უვლიდა, რამდენიმე ჭყინტ ტაროს მოტეხდა ბავშვებისათვის, შეიძლება ციხის გზისთვის გაეყენებიათ. ანუ იმის თქმა მინდა და შეხსენება, რომ გლეხისათვის უმნიშვნელოვანესი იყო თითოეული მტკაველი მიწის და სულ იმის ოცნებასა და მოლოდინში იყო როდის გაეზრდებოდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, რომ უხვი მოსავალი მოეწია, ყურძენიც უხვად ჰქონოდა, სიმინდიც, ლობიოც, ხეხილიც, ბაღჩა-ბოსტნეულიც, ოჯახიც გამოეკვება საქონელიც და ფრინველიც, რომელთა გარეშე წარმოუდგენელი იყო მაშინდელი ოჯახის სიძლიერე.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ჩვენმა ქვეყანამ სისხლის ფასად დამოუკიდებლობა მოიპოვა და შემდეგ მალევე, ხუხულასავით დაინგრა „ერთა ძმური კავშირი“, როცა ხორბლის მოწოდება შეწყდა, როცა ადამიანები პურის რიგს ადრე დილიდან იკავებდნენ, რა „მდიდარი“ იყო ის, ვისაც თავისი მოწეული სიმინდი გააჩნდა. როგორი იმედისმომცემი იყო, როცა მოგვიანებით მიწის რეფორმის საკითხი დადგა. უმეტეს სოფლებში ოჯახს, რომელიც ადრე საკოლმეურნეო შრომაში იყო ჩაბმული 1 ჰა, ხოლო ქ. თერჯოლის მაცხოვრებლებისთვის 0.75 ჰა დაურიგდა, ეს იყო ერთგვარი შვება და იმედი, უპურობის შემთხვევაში შიმშილისაგან გადარჩენისა.

გვახსოვს როგორ დაფაცურდა ყველა, აქ სოფელში მცხოვრები თუ ქალაქში გასული, ასევე ბინებში მცხოვრები მოსახლეობა, სკოლების პედაგოგები თუ სხვა მოხელეები, როგორ ყველას მოუნდა ჰქონოდა მიწის ნაკვეთი...

კეთილი და პატიოსანი... სურვილიც და მცდელობაც ნამდვილად იყო ლოგიკურიც და გონივრულიც...

ანუ—„მიწა გლეხებს“, ნამდვილად აიტაცა ყველამ, კი არა და მრავალ მათგანს იმის მცდელობაც ჰქონდა, რაც შეიძლება მეტ მიწის ფართობზე მოეპოვებინა მეპატრონის უფლება... იყო განცხადებები, აზომვა გაფორმებები და მგონი დღემდე გრძელდება დამტკიცება-დარეგისტრირების პროცესი.

ერთი-ორი წელი შეესია მეპატრონენი თავიანთ ნაკვეთებს, მოხნეს, დათესეს, რიგ შემთხვევაში ზოგიერთმა მათგანმა, ანუ მათ, ვინც რიგიანად გაისარჯა, სათანადოდ მოუარა მოსავალიც კარგი მიიღო, ხოლო მათ, ვისაც ეგონა მიწა უზრუნველად, შრომა-გარჯისა და სათანადო მოვლა-პატრონობის გარეშე მისცემდა მოსავალს, იმედი გაუცრუვდა და მალევე მიანება თავი, ანუ დღეს, შეიძლება ვეღარც მიაგნოს თავის ნაკვეთს, ისე გადაიარა ეკალ-ბარდებმა.

დიახ, წლები გავიდა, ცხოვრებაში მრავალი რამ შეიცვალა, შეიცვალა ფასეულობები და დამოკიდებულებაც საკარმიდამო ნაკვეთების, ანუ დედა მიწის მიმართ. საოჯახო მეურნეობა ბაზარმა და სავაჭრო ობიექტებმა ჩაანაცვლა, მშრომელი გლეხები ანუ მეურნე ადამიანები კი უცხოეთში საარსებო საშუალებების საშოვნელად გადახვეწილი ქალების მოიმედე, უსაქმურმა მამრებმა, მთელი დღის განმავლობაში დომინოსა და სხვა გასართობს რომ უსხედან, ლუდსა და არაყს მიირთმევენ და ასე იოლად და მარტივად ეწევიან „ცხოვრების ჭაპანს“... და არც თუ იშვიათად სოციალურ ქსელში იმ „ნანატრი“ მიწის ნაკვეთის გაყიდვის თაობაზე განცხადებასაც შეხვდებით, რომელზედაც ასე ოცნებობდნენ მათი ოჯახები არც თუ შორეულ წარსულში.

დიახ, შეიცვალა ცხოვრება, შეიცვალა მიწაც, გლეხიც, ურთიერთდამოკიდებულებაც და მოტივაციაც... ახლა გაიოლებული, თუმცა მდიდრული ცხოვრება უფრო მიმზიდველია, ვიდრე თოხითა და ბარით, საწამლავი აპარატით და ა.შ. ოფლის ღვრითა და პატიოსანი შრომით მოპოვებული „პური ჩვენი არსობისა“. არავინ უწყის და არავინ დაგიდევთ როგორი გზით, მთავარია სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელ-დასახურავი, სახლი თუ აგარაკი ჰქონდეს და რა მორალითა და ზნეობით განლევენ წუთისოფელს ნაკლებად ეფიქრებათ...

ღმერთმა მიწის მოყვარული და მასთან დამეგობრებული, მოწეული ჭირნახულის მოიმედე ადამიანი არ დალიოს ქვეყანაზე. ბევრი არა, თუმცა რა თქმა უნდა არიან ასეთებიც, შრომისმოყვარენი და დედამიწის მიმართ თავისი ვალდებულება რომ გააჩნიათ. ისინი იმედით ელიან კარსმომდგარ გაზაფხულს, რომელიც სადაცაა მოგვეახლება თავისი სილამაზით და ამავე დროს უამრავი საზრუნავ-საკეთებლით, უპირველესად კი სახნავ-სათესით, ვაზის გასხვლა-ფორმირებით... და ა.შ. ჩამოსათვლელადაც რომ ძნელია.

გასულ წელს სიმინდის მოსავალი ან საერთოდ ვერ მიიღო გლეხმა, ან ძალიან მცირე, ისე რომ ბევრმა გაწეული ხარჯიც ვერ აინაზღაურა, შედეგიც სახეზეა. ზესტაფონის ბაზარზე გასაყიდლად გამოტანილ დასაფქვავად ვარგის სიმინდს ან საერთოდ ვერ შეხვდებით, ან თუ იშოვე ფასს ვერ მიწვდები.

ყველამ იცის რა ძვირი უჯდება გლეხს სიმინდის მოყვანა: დახვნა-დაფარცხვა, დათესვა, სათესური, კულტივაცია, სარეველების თუ მავნე მწერების (ფაროსანა და სხვა) საწინააღმდეგო შხამ-ქიმიკატები, სასუქი, ეს ყველაფერი მოგეხსენებათ ძალიან ძვირია, ამის გარდა აუცილებელია ფიზიკური მუშაობა, გახშირვა, სასუქის მიცემა, შეწამვლა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ხელით ხდება... ერთი სიტყვით მოსავლის აღებამდე არ იცის კაცმა კიდევ რა საქმე გამოჩნდება, ჰო, რაც მთავარია, ტრაქტორი თუ იშოვე დროულად ამას ხომ დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა ეს ყველაფერი როგორ სრულყოფილად და აგროვადების დაცვითაც არ უნდა შეასრულო, ყველაფერი წყალში გადაყრილია, თუ საჭირო დროს წვიმა არ მოვიდა.

გასული წლის სიმინდის მოსავალი სწორედ ზაფხულის გვალვამ შეიწირა.

ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მიწის მეპატრონე ბუნების წყალობის იმედად ყოფნას აღარ რისკავს და თავს იკავებს ისევ ძლივს შეკოწიწებული ან სესხად აღებული თანხა ტყუილად არ გადაყაროს.

გვალვა უფრო ხშირად ქ. თერჯოლის მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობას აზარალებს, აქ უფრო ნაკლებად მოდის ზაფხულში წვიმა, ხოლო ცენტრიდან მოშორებულ სოფელს გაცილებით უკეთ წყალობს ბუნება, მაგრამ როგორც ვხედავთ უკვე იმ სოფლებშიც აღარ ითესება სიმინდი, სადაც აღარც მუშახელია, ახალგაზრდებისაგან ხომ თითქმის დაცლილია, უფროსი თაობა კი ან აღარ არიან, ან არ შეუძლიათ უკვე შრომა ფიზიკურად... თუმცა არის ადგილები თერჯოლაში, სადაც ყოველთვის გვალვის დროსაც კი მაღალი მოსავალი მოდიოდა, მაგ. აჯამეთი, მჟავეთა და სხვა. იქ ახლა რიგ შემთხვევაში იონჯას, ან ნესვსა და საზამთროს თესენ, ან ზოგიერთი ფართობი მაგ. მჟავეთა თითქმის მიტოვებულია მეპატრონეებისაგან.

არის სოფლები, სადაც მოსავლის ხელშეწყობა სარწყავი სისტემითაა შესაძლებელი, თუმცა ესეც არ არის სათანადოდ გამოყენებული.

ბაბუაჩემი იტყოდა ხოლმე, „ცდა ბედის მონახევრეაო“ მართლაც ასეა. ისევ ჯობია დავხნათ და დავთესოთ, იქნება გაგვიმართლოს და მოსავალი მივიღოთ, იქნებ ისევ აივსოს ჩვენი სასიმინდეები... თუ არა და კი ბატონო, ვიყიდოთ ყველამ ქალაქელმაც და სოფლელებმაც სოფლის მეურნეობის პროდუქტები ბაზარსა და მაღაზიებში, რა თქმა უნდა თუ ამის საშუალება გვექნება, რაც ძალიან მეეჭვება, თუ არა და ჩვენ მეზობელ ზესტაფონელებს მივბაძოთ და ძალიან რომ მოგვენატრება შევეხვეწოთ ერთმანეთს, თუ ვინმეს ექნა რა თქმა უნდა, „მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველსო“...

ხო, ყველზე გამახსენდა, თერჯოლაში მჭადი და ყველი რომ მოგვენატრება მაინც ასე მგონია არ გვეპატიება... იმ ყველაფრის ფონზე, რასაც მარკეტები საკვების სახით გვთავაზობენ, თანაც მამასისხლად, მჭადი და ყველი ისეთი დელიკატესია ვერაფერი რომ ვერ შეცვლის და ისედაც, სად გაგონილა იმერეთი, თერჯოლა ამ გემრიელობების გარეშე.

ამით თემა რა თქმა უნდა არ ამოწურულა, შეიძლება გაგრძელება, მსჯელობა, წინადადებების დაყენება...

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
RESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872